

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 47
(მომსახურების შესყიდვა)

ქალაქი ფოთი

„05“ აპრილი 2018 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი (თვითმმართველი ერთეული) შემდეგში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის გოჩა კურდღელიას სახით და მეორეს მხრივ, შპს „ფოთი-ლიფტი“, შემდეგში „მიმწოდებელი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის მერაბ როყვას სახით, ელექტრონული ტენდერის SPA180002841 საშუალებით, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს - მრავალსართულიანი ს/სახლებში არსებული 64 ერთეულ სამგზავრო ლიფტის მოვლა-პატრონობა.

მომსახურება მოიცავს:

- ლიფტის ძალოვან ტრანსფორმატორებზე, მართვის კარადაზე, ელექტრო მრავებზე და გამშვები აპარატურის მუშაობაზე მუდმივი მეთვალყურეობის დაწესებას, მათი გამართულ მდგომარეობაში ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში მიმდინარე რემონტს.

- ავარიულად დაზიანებული ლიფტის შეკეთება უნდა მოხდეს ტექნიკური პერსონალის მიერ უსაფრთხოების წესებისა და შესაბამისი სტანდარტების დაცვით ყოველდღიურად (შაბათ-კვირის ჩათვლით), 24 საათის განმავლობაში, გამოძახებიდან უმოკლეს ვადაში, რომლის მოვალეობაა ავარიულად გაჩერებული ლიფტის ოპერატიული გაშვება, თუ აღნიშნული დაკავშირებული არ არის დაზიანებული ნაწილების შეცვლასთან; დაზიანებული ნაწილის შეცვლა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღეში.

- ლიფტების მოვლა-პატრონობა განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და ამასთანავე პასუხისმგებელია მრავალსართულიანი ს/სახლების ლიფტების ექსპლუატაციის დროს მიყენებულ ზიანზე ან/და უზედურ შემთხვევებზე, რომლებიც შეიძლება გამოწვეული იყოს ლიფტის ტექნიკური გაუმართაობით;

შესყიდვის კატეგორია: 50700000, შენობის მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება;

კლასიფიკატორის (CPV) კოდი: 50750000 ლიფტების ტექნიკური მომსახურება;

სატენდერო განცხადების ნომერი: SPA180002841, 2018 წლის 12 მარტი.

2.2 შესყიდვის ობიექტის დეტალური აღწერა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

2.3 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები, რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ღირებულება მოცემულია ხელშეკრულების დანართ N 1-ში ფასების ცხრილში (ხარჯთაღრიცხვა), რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 24763 (ოცდაოთხიათასშვიდასამოცდასამი) ლარს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების სახით.

3.2 სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით.

4. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

4.1 მომსახურების გაწევის ფორმა - მრავალსართულიანი ს/სახლების ლიფტების მოვლა-პატრონობის მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, 2018 წლის 5 აპრილიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.2 მომსახურების გაწევის ადგილი - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი.

5. ანგარიშსწორების პირობები და ვადები

5.1. წინასწარი გადახდის მექანიზმი არ გამოიყენება.

5.2 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში. ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

5.3 ანგარიშსწორება განხორციელდება, ფაქტიურად მოწოდებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მიღება - ჩაბარების პირობები

6.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და ტრანსპორტის სამსახურის

ხელმძღვანელი, რომელიც ხელს აწერს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელით დადებული, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, ხელშეკრულების შესრულების მიღება-ჩაბარების აქტებსა და მასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას.

6.2 სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელს აწერს, სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

6.3 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

7.1.1 მოსაწოდებელი ან/და მოწოდებული მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მოწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და ტრანსპორტის სამსახურის ინფრასტრუქტურის, წყალანიერებისა და მელიორაციის განყოფილების უფროსი ნუგზარ ალანია.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1 უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.2.2 წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს, რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

7.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

7.3.1 გააჩნდეს მორიგეობის პუნქტი (სათანადო მოწყობილობებითა და ტელეფონით), სადაც მობილიზებული იქნება ჯგუფი (ტექნიკური პერსონალი).

7.3.2 დაიცვას ლიფტის უსაფრთხო ექსპლუატაციის წესებით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა, ხოლო ლიფტის ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში (ლიფტის ექსპლუატაციის უსაფრთხოების ნორმებთან შეუსაბამობა) შეწყვიტოს ლიფტის ექსპლუატაცია და დამკვეთს აცნობოს წერილობით არსებული სიტუაციის შესახებ.

7.3.3 აანაზღაუროს მრავალსართულიანი ს/სახლების ლიფტების ექსპლუატაციის შედეგად გახარჯული ელექტროენერჯის საფასური, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარესთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

7.3.4 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

7.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების თავდაპირველი ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5 მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 3 (სამი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

9.2 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის პირგასამტებლო განისაზღვრება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით.

9.3 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს) პირგასამტებლო განისაზღვრება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.4 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.5 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, პირგასამტეხლო განისაზღვრება შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 3%-ის ოდენობით.

9.6 თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების გამო შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, ამ შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ, საჯარიმო თანხის გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9.7 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

12. სხვა პირობები

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12.2 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

12.3 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული საკითხები რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით და შემსყიდველის მიერ დამტკიცებული სატენდერო დოკუმენტაციით.

13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი
ს/კ 215138143


მის: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №12

„მიმწოდებელი“


შპს „ფოთი-ლიფტი“

მის: ქ. ფოთი, მემედ აბაშიძის ქ. N14
სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ ფოთის ფილიალი
ა/ა GE 93 VT 060000001513603 ბ/კ №UGEBGE22
ს/კ №215149783

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი
გოჩა კურდღელია



დირექტორი
მერაბ როყვა



მრავალსართულიანი ს/სახლების ლიფტების მოვლა-პატრონობა

ფასების ცხრილი

N	დასახელება	განზომილები ს ერთეული	ერთეულის რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებუ ლება
1	2	3	4	5	6
1	ლიფტების მოვლა-პატრონობის გაწევა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები	ცალი	1 ლიფ.		
	შრ. დანახარჯი				14,00
	სულ			14,00	14,00
	ზედნადები ხარჯები არაუმეტეს 10 %				1,40
	სულ				15,40
	გეგმიური დაგროვება არაუმეტეს 8%				1,232
	სულ 1 თვეზე 1 ლიფტისათვის				16,632
	წლიური სახარჯთაღრიცხვო ხარჯები 64 ლიფტზე (9 თვე)				9580,0
2	ლიფტების ელ. სამონტაჟო სამუშაოების მოწყობა	ცალი	1 ლიფ.		
	შრ. დანახარჯი			3,00	3,00
	ზედნადები ხარჯები შრ. დანახარჯიდან არაუმეტეს 75%				2,25
	სულ თავი				5,25
	მასალა			6,48	6,48
	ჯამი				11,73
	გეგმიური დაგროვება არაუმეტეს 8%				0,94
	სულ სამონტაჟო სამუშაოები 1 ლიფტზე თვეში				12,67
	წლიური სახარჯთაღრიცხვო ხარჯი 64 ლიფტზე (9 თვე)				7298,00
3	ლიფტის სათადარიგო ნაწილების და მოწყობილობების მონტაჟის სამუშაოები	ცალი	1 ლიფ.		
	შრ. დანახარჯი			5,76	5,760
	ზედნადები ხარჯები არაუმეტეს 10 %				3,917
	სულ				9,677
	მასალა			3,00	3,00
	ჯამი				12,677
	ზედნადები ხარჯები არაუმეტეს 8 %				1,014
	სულ ხარჯები 1 ლიფტზე თვეში				13,69
4	წლიური სახარჯთაღრიცხვო ხარჯი 64 ლიფტზე (9 თვე)				7885,0
	ღირებულება დღგ-ს გარეშე				24763,00

„შემსყიდველი“

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი
გოჩა კურდიკიძე

„მიმწოდებელი“

შპს „ფოთი-ლიფტი“



დირექტორი
მერაბ როყვა

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქალაქი ფოთი

„05“ აპრილი 2018 წელი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და ტრანსპორტის სამსახურის ინფრასტრუქტურის, წყალანიერებისა და მელიორაციის განყოფილების უფროსი ნუგზარ ალანია, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად ვადასტურებ, რომ მრავალსართულიანი ს/სახლებში არსებული 64 (სამოცდაოთხი) ერთეული სამგზავრო ლიფტის მოვლა-პატრონობის მომსახურების შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში (ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა), არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ, მრავალსართულიანი ს/სახლებში არსებული 64 (სამოცდაოთხი) ერთეული სამგზავრო ლიფტის მოვლა-პატრონობის შესყიდვის მიზნით, 2018 წლის 05 აპრილს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 47 ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობის განმახორციელებელი პირი.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და ტრანსპორტის სამსახურის ინფრასტრუქტურის, წყალანიერებისა და მელიორაციის განყოფილების უფროსი:

ნუგზარ ალანია

